SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

ABIRATERONE - ZYTIGA®

რა არის ZYTIGA

მოლეკულის აღწერა	აღწერა
აბირატერონის აცეტატი ახალი თაობის ჰორმონოთერაპია	250 მგ-ის ტაბლეტი: თეთრი, ოვალური 500 მგ-ის ტაბლეტი: იასამნისფერი, ოვალური

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.
თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ ..... ტაბლეტი/დღეში, რომელიც უნდა მიიღოთ დღეში ერთხელ, ერთ მიღებაზე, ყოველდღიურად.
ტაბლეტი უნდა გადაყლაპოთ ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე.
მიიღეთ ერთსა ფიქსირებულ დროს. თქვენთვის სასურველი დღის კვებისგან მოშორებით. (ჭამამდე 1 საათით ადრე ან ჭამის შემდეგ 2 საათის მერე).
ღებინებისა ან დავიწყების შემთხვევაში: აღარ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

კვებისგან მოშორებით (ჭამამდე 1 საათით ადრე ან ჭამის შემდეგ 2 საათის მერე)	<1სთ 2სთ> <1სთ 2სთ> <1სთ 2სთ>
	დ1 დ2 დ3 დ4 დ5 დ6 დ7 ... დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.
მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დაგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.
გთხოვთ შეინახოთ წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა
მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ (სისხლის საერთო ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებლებს, ღვიძლის ფუნქციებ ს, კალიუმის, ტრიგლიცერიდებისა და გლუკოზის შესაფასებლად) და კლინიკურ (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა, ძვლის სიმკვრივე ოსტეოდენსიტომეტრიით) მონიტორინგს.
კონტრაცეპცია
ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება
ZYTIGA®-სა და თქვენს სხვა მკურნალობებს შორის ურთიერთქმედებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს (შეამციროს პრეპარატის ეფექტურობა და მისი ატანადობა). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას, ბოლდოს, ფიკუსის, აზიური ჟენშენის, სევილიური ფორთოხლის, პასიფლორასა და ბაბუაწვერას მოხმარებას ZYTIGA®-სთან ერთად.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე ხშირი არასასურველი გვერდითი მოვლენები. შესაძლებელია არსებობდეს სხვა გვერდითი მოვლენები. მეტი ინფორმაციისთვის წაიკითხეთ თქვენი მედიკამენტის ინსტრუქცია ან ჰკითხეთ რჩევა ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**გულის დონეზე არსებული დარღვევები**: არტერიული ჰიპერტენზია **ღვიძლის დონეზე არსებული დარღვევები** **ზოგადი დარღვევები**: წყლის შეკავება, შეშუპება საშარდე გზების **ინფექცია** **სისხლის ანალიზის ანომალიები**: კალიუმის დონის დაქვეითება ან ტრიგლიცერიდების დონის მომატება **საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები**: დიარეა
ზოგ პაციენტს ესაჭიროება განსაკუთრებული ყურადღება	ჰიპერგლიკემია *დიაბეტის მატარებელი პაციენტებში* გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ანამნეზის მქონე პაციენტები
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**ჰიპერტენზიის მაჩვენებელი სიმპტომები** > თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა > წნევის გაზომვისას მაჩვენებლების მომატება **ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** > ტემპერატურა > 38,5°C > ხველება, ყელის ტკიბილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **გულის პრობლემის მაჩვენებელი სიმპტომები** > სუნთქვის გაძნელება, გულის ფრიალი, ტკივილი ან შეკუმშვის შეგრძნება გულმკერდის არეში > ფეხების შებერილობა (შეშუპება) **სხვა** > წონის სწრაფი ან მოულოდნელი მატების შემთხვევაში (შეშუპება) > ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტჯერ კუჭში გასვლა, > ფერადი შარდი (სისხლი შარდში) > აუხსნელი კუნთის ტკივილები
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
ინფექცია	**მოერიდეთ** რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). **რეკომენდირებულია** პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო **აცრა**: ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. რეგულარულად რეკომენდირებულია **არტერიული წნევის გაზომვა**. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ,რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.
კანის მოვლა	*ჰიგიენისთვის* **უპირატესობა მიანიჭეთ** რბილ საპონსა და დამატენიანებელ საშუალებას, გაშრობა კი ტამპონირებით. **მოერიდეთ** გამაღიზიანებელი პროდუქტის გამოყენებას. *მზისგან დასაცავათ* **გამოიყენეთ** დამცავი კრემი და **მოერიდეთ** მზეზე გასვლას.
შეშუპება	**მოერიდეთ** ძალიან მჭიდრო წინდებს, ფეხსაცმელებსა და ტანსაცმელს. **ააწყვეთ** ფეხები სიმაღლეზე. რეგულარულად **გაიკონტროლეთ** წონა.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	**უპირატესობა მიანიჭეთ** ბოჭკოვანით დაბალი შემცველობის დიეტას. სასურველია მიირთვათ სახამებლის შემცველი საკვები, სტაფილო, ბანანი. **მოერიდეთ** უმ ხილ-ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ყავას და ალკოჰოლს. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
შეშუპებები	**უპირატესობა** მარილის დაბალი შემცველობის დიეტას

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის